საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-09/409

ქ. ბათუმი 12 ივლისი, 2017 წ.

ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 5 წელზე მეტი ხანგრძლივობით სტატუსშეჩერებულ პირთათვის ბსუ--ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 26 ივნისის MES 9 17 00742991 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა სია, რომელთაც 2012 სასწავლო წელს შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტი, რომელსაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქვს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული, ექვემდებარება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას. გამომდინარე იქედან, რომ სტატუსშეჩერებულ პირებს არ გამოუყენებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებითა და ბსუ-ს წესდებით მინიჭებული უფლებამოსილება (სტუდენტის უფლებებში აღდგენა), დღევანდელი მდგომარეობით მათი სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გასულია 5 წლიანი ვადა, კანონშესაბამისია მათ მიმართ გამოიცეს ბრძანება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 26 ივნისის MES 9 17 00742991 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტებს **(დანართი 1)**, რომელთა სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გავიდა 5 წელი.
2. ბრძანება ჩაბარდეთ **დანართი 1-ით** განსაზღვრულ სტუდენტებს და განთავსდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამარ სირაძე**

დანართი 1

დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 12
ივლისის № 01-09/409 ბრძანებით

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	უმაღლესი განათლების საფეხური	სტატუსის შეჩერების დრო, ბრძანების №
1.	ბარამიძე ნინო		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	01-09/130 13.03.2012
2.	შერვაშიძე გენადი		ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	01-09/143 20/03/2012
3.	მაისურაძე მარინე		ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	01-09/130 13.03.2012
4.	ბარამიძე მარიამ		ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	01-09/280 5.07.2012
5.	შოთაძე გიორგი		განათლების ფილოსოფია	მაგისტრატურა	01-09/130 13.03.2012

აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტების სია

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	უმაღლესი განათლების საფეხური	სტატუსის შეჩერების დრო, ბრძანების №
6.	ლორთქიფანიძე დავით		ისტორია	ბაკალავრიატი	01-09/135 15.03.2012
7.	გორგაძე თამარ		ისტორია	ბაკალავრიატი	01-09/91 12.03.2012
8.	აბაშიძე ქეთევან		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	01-09/68 05.03.2012
9.	ქათამაძე ლამარა		ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	01-09/94 12.03.2012